ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 52

4 მარტი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

15:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

თარაშ შურღაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი შემდეგი საკითხი:

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის სოფიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით საქართველოსა და ბულგარეთს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ. ჩვენი ქვეყნები სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობენ. ბულგარეთი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. თბილისში ბულგარეთის დედაქალაქის სოფიას სახელობის გეოგრაფიული ობიექტის გაჩენა კიდევ უფრო გააღრმავებს ორ ქვეყანას შორის მეგობრულ და დიპლომატიურ ურთიერთობებს. კომისიამ საკრებულოს თავმჯდომარესთან - გიორგი ტყემალაძესთან ერთად შეხვედრა გამართა ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან დესისლავა ივანოვასთან. შეხვედრაზე თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ბულგარეთის დედაქალაქის-სოფიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს და დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის სოფიას სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი